



საიას და სამაუნწყებლო კომპანია ჰერეთის განცხადება შპს „ენერჯი გრუპის“ და შპს „TV3“-ის მაუნწყებლობის ლიცენზიებთან დაკავშირებით

2014 წლის 15 იანვარს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ძალადაკარგულად გამოაცხადა შპს „ენერჯი გრუპისთვის“ 2013 წლის 26 აგვისტოს გადანყვეტილებით მინიჭებული და 2013 წლის 1 ნოემბრის გადანყვეტილებით გაცემული ლიცენზია. ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების მიზეზი გახდა ის, რომ შპს „ენერჯი გრუპის“ 20% წილის მფლობელს და დირექტორს, ვახა ბაინდურაშვილს, იმავდროულად უკავია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტის თანამდებობა, რაც „მაუნწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეუთავსებელია მაუნწყებლობის ლიცენზიის ფლობასთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბუსტად იგივე პოზიცია აქვს საქართველოს სახალხო დამცველს, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტსა, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციასა და კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“.

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2013 წლის 26 აგვისტოს საერთო რადიომაუნწყებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოავლინა შპს „ენერჯი გრუპი“. აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობას იღებდა შპს „სამაუნწყებლო კომპანია ჰერეთი“, რომელმაც 2013 წლის სექტემბერში სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს „ენერჯი გრუპისთვის“ რადიომაუნწყებლობის ლიცენზიის მინიჭების შესახებ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადანყვეტილების ბათილად ცნობა. ამ დავაში შპს „სამაუნწყებლო კომპანია ჰერეთის“ ინტერესებს იცავს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ვრცელდება ინფორმაცია, რომ თითქოს შპს „სამაუნცებლო კომპანია ჰერეთი“ და საია მოითხოვენ შპს „TV3“-სთვის მაუნცებლობის ლიცენზიის გაუქმებას (შპს „TV3“-ის 9% წილის მფლობელი და დირექტორი ასევე ბატონი ვახა ბაინდურაშვილია).

გვსურს განვმარტოთ, შპს „სამაუნცებლო კომპანია ჰერეთის“ სასარჩელო მოთხოვნა ეხება მხოლოდ შპს „ენერჯი გრუპისთვის“ რადიომაუნცებლობის ლიცენზიის მინიჭების კანონიერების საკითხს. ამასთან, ჩვენი ინფორმაციით, შპს „TV3“-ის სამაუნცებლო ლიცენზიის კანონიერებასთან დაკავშირებით საქმის განხილვა არც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში და არც სასამართლოში არ მიმდინარეობს.

„მაუნცებლობის შესახებ“ კანონის თანახმად, თუ კომისია დაინყებს „TV3“-ის ტელემაუნცებლობის ლიცენზიის კანონიერების საკითხის შესწავლას და დადგინდება, რომ შპს „TV3“ არღვევს კანონის მოთხოვნებს, კომისია ვალდებული იქნება ის წერილობით გააფრთხილოს და განუსაზღვროს გონივრული ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად. ამავე დროს, დარღვევის აღმოფხვრამდე, კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს ლიცენზიის შეჩერების შესახებ. თუ მაუნცებელმა გაფრთხილებით დადგინდეს ვადაში არ აღმოფხვრა დარღვევა, კომისია ვალდებულია მაუნცებელს დააკისროს ჯარიმა. რაც შეეხება ლიცენზიის გაუქმებას, კანონი ზუსტად განსაზღვრავს მაუნცებლობის ლიცენზიის გაუქმების საფუძვლებს და ადგენს, რომ დარღვევის არსებობისას ლიცენზიის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მაუნცებელს მიეცა გაფრთხილება, განესაზღვრა ვადა დარღვევის აღმოსაფხვრელად და მან არ აღმოფხვრა დარღვევა.